| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი<br>მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №34<br>ტელ/ფაქსი (+995 222) 27 17 87<br>ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ჟურნალისტიკა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ჟურნალისტიკის ბაკალავრი |
| პროგრამის მოცულობა კრედიტებში | 240 |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:<br>➢ ერთიანი ეროვნული გამოცდები;<br>➢ მობილობის წესით ჩარიცხვა;<br>➢ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი | პროგრამის მიზანია, კურსდამთავრებულებს მისცეს მრავალმხრივი, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ჟურნალისტიკის სფეროში, რათა მათ შეძლონ:<br>1. ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელება სამაუწყებლო, ონლაინ და ბეჭდურ მედიაში.<br>2. წვლილი შეიტანოს მედიის თანამედროვე სტანდარტების დანერგვაში, კრიტიკული, პასუხისმგებლობითი და ეთიკური მედიის განვითარებაში.<br>3. ზოგადად მასმედიასა და ჟურნალიტიკაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების ანალიზი.<br>4. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით პრაქტიკულ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა.<br>კვლევითი უნარების გამოყენება როგორც ჟურნალისტიკის, ასევე მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით. |
| სწავლის შედეგები | *ა) ცოდნა და გაცნობიერება*<br>1. აღწერს ტრადიციული და ახალი მედიების ძირითად მახასიათებლებს, თეორიებს, სტრუქტურას. განასხვავებს ენობრივ–სტილისტურ მოთხოვნებს, ახდენს ჟანრების კლასიფიკაციას, იაზრებს ისტორიულ კონტექსტს.<br>2. წარმოაჩენს მედიისა და ჟურნალისტის როლს დემოკრატიული პროცესების განვითარებაში;<br>3. მოიპოვებს, აანალიზებს და განმარტავს სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციას;<br>4. ჩამოთვლის და განმარტავს მედიის კვლევის მეთოდებსა და პროცედურებს.<br>*ბ) უნარები*<br>5. ამუშავებს აქტუალურ თემებს და ამოწმებს წყაროების სანდოობას;<br>6. ეთიკური სტანდარტებისა და ენობრივ–სტილისტური ნორმების დაცვით ქმნის სხვადასხვა სახის მედიაპროდუქტს და/ან ასრულებს კონკრეტულ კვლევით დავალებას;<br>7. არგუმენტირებულად და კრიტიკულად აფასებს პროცესებსა და მოვლენებს;<br>8. მოიძიებს და შეარჩევს ახალ ინფორმაციას; |

| | |
|---|---|
| | 9. პროფესიულ საქმიანობაში ეფექტურად იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს;<br>10. ავლენს ზეპირ, წერილობით და სხვა სახის კომუნიკაციის უნარებს;<br>*გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*<br>11. პროფესიული საქმიანობისას ხელმძღვანელობს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპებითა და დარგობრივი სტანდარტით;<br>12. შესაბამისი დარგობრივი, პრაქტიკული და კვლევითი ნაშრომების მომზადებისას იცავს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ჟურნალისტური ეთიკის ძირითად პრინციპებს. |
| **შეფასები წესი** | ცალკეულ სასწავლო კურსში სტუდენტის საბოლოო შეფასება გამოიყვანება აკადემიური აქტივობის, რეიტინგული შეფასებისა და გამოცდის შედეგების ჯამით. საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით: A,B, C, D, E, FX, F.<br>A – ფრიადი 91-100 ქულა;<br>B – ძალიანკარგი 81-90 ქულა;<br>C – კარგი 71-80 ქულა;<br>D– დამაკმაყოფილებელი 61-70 ქულა;<br>E – საკმარისი 51-60 ქულა;<br>FX – ვერ ჩააბარა 41-50 ქულა.<br>სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელგასვლის უფლება;<br>F – ჩაიჭრა 0-40 ქულა. სტუდენტს საგანი თავიდან აქვს გასავლელი. |
| **საკონტაქტო პირ(ებ)ი** | პროგრამის ხელმძღვანელი პროფ. ინგა შამილიშვილი<br>ტელ: 577537137 ელ.ფოსტა: inga_shamilishvili@bsu.edu.ge |